

ლიტერატურული მესხეთი

№1 (241)
იანვარი
2019 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის ოცდაათეული წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

ზეენი უახლოესი ისტორიის შემოქმედნი!

20 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ბატონმა ავთანდილ ბერიძემ, როგორც კერძო პირმა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა ახალციხის ფილიალმა დააარსეს გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“. სარედაქციო სამუშაოები ტარდებოდა ასპინძაშიც და ფილიალშიც. იქმნებოდა გაზეთი, ყალიბდებოდა მისი სახე, მიმართულებანი.

ზეთის რესპუბლიკური გამოცემის ამბიციის ჯერ ჩამოყალიბება და შემდეგ განხორციელება. ეს შეძლო „ლიტერატურული მესხეთმა“. ახალმა სალიტერატურო ორგანომ შეასრულა სერიოზული როლი სამხრეთ საქართველოს ცხოვრებაში, გადამწყვეტი აღმოჩნდა ის, რომ

გაზეთს სათავეში ჩაუდგა ისეთი პრინციპული, სამშობლოსა და საქმის ერთგული კაცი, როგორც ავთანდილ ბერიძეა. „ლიტერატურული მესხეთის“ ყველა გამოწვევას, სიახლეებს მხარში უდგა და უდგას ხსენებული ფილიალი და დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტის და გაზეთის თანაარსებობის სამაგალითო ნიმუშია სწორედ ჩვენი ურთიერთობა.

უნივერსიტეტის პროფესორა გაზეთის ძირითად ავტორთა რიგში დგას. მათი საენათმეცნიერო, დიალექტოლოგიური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი, ისტორიულ-შემეცნებითი, განათლების და პედაგოგიკის ისტორიის ხასიათის გამოკვლევები მნიშვნელოვანი ნაწილია გაზეთის პუბლიკაციისა. სოლიდურია უნივერსიტეტის თანამშრომელთა, როგორც გაზეთის გამომწერთა რაოდენობა.

ვულოცავთ „ლიტერატურულ მესხეთს“ 20 წლის იუბილეს. წარმატებებსა და ერთგული მკითხველის სიმრავლეს ვუსურვებთ გაზეთს, რომელიც ორი ათეული წლის განმავლობაში იქცა ჩვენი უახლოესი ისტორიის ერთგვარ შემოქმედნიად. არ დაეკარგოს მას ქვეყნისთვის სასარგებლო საქმის კეთების სურვილი და შესაძლებლობა.

მამა პარიძე,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი



გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ კომპლექსი

მინდა მოგილოცოთ მთელი გულით და წარმატებები გისურვოთ იმ დიდ და სასიკეთო საქმეში, რასაც თქვენ აკეთებთ ჩვენი რეგიონისთვის. გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ წლების განმავლობაში სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მემკვიდრე იქცა. გისურვებთ წარმატებებს.
პასიკ ამირანაშვილი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის უფროსი



სამხატვრო მემკვიდრე

ძველი დროის ერთ-ერთ მსოფლიო საოცრებად აღეცხანდის შუქურა წარმოედგინათ. ზღვის ტალღებსა და წყლის ნამცერვეთა ბურუსში მოყოლილ გემებს იგი სწორ გეზს აძლევდა, მეზღვაურებს იმედს უსახავდა, გულზე სალბუნსა სდებდა.

ძველი დროის მემკვიდრე

ვერ ვიტყვი, თანამედროვე პრესას სისტემატურად ვეცნობი-მეთქი, ეს შეუძლებელიცაა, მაგრამ ზოგიერთი გაზეთი დღემდე შეუცვლელია ჩემთვის, მათ შორის „ლიტერატურული მესხეთი“, რომლის თითოეული ნომერს ყოველთვის განსაკუთრებული ინტერესით ველოდები. მაღალი პროფესიონალიზმით შერჩეული, თემატიკით მრავალფეროვანი პუბლიკაციები, თავიდან ბოლომდე გაკეთებულ თავს. აფერუმ გაზეთის რედაქტორს, ჩემს უფროს მეგობარს ბატონ ავთანდილ ბერიძეს, მის თანამშრომლებს, ისეთი გაზეთის გამოცემისთვის, დიდი რუსთაველის მშობლიურ კუთხეს რომ ეკადრება...

გილოცავთ!

სამცხე-ჯავახეთის გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ 20 წელი შეუსრულდა! მიუხედავად იმისა, რომ 20 წელი სიჭაბუკის ასაკია, უნდა ითქვას, რომ ეს ოცი წელი სასახლოდ და ნაყოფიერად გამოვლინდა გზა, სადაც თავისი შუქრდილებით, – წინააღმდეგობებით და გამარჯვებებით, ძიებებით და აღმოჩენებით, დაბრკოლებებით და მამულიშვილთა თანადგომითა და შექმნებით! და რაც მთავარია, ძვირფასო მკითხველო, ეს 20 წელი გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორის და რედაქციის ლიტერატურულ-კულტურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმატებული 20 წელია!..

გილოცავთ!

სამცხე-ჯავახეთის გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ მრავალმხრივი შინაარსით და თემატიკით გამორჩეული გაზეთია, სადაც შეგხვდებით პროზა, პოეზია, თარგმანი, ხალხური ლექსები და თქმულებები, ისტორიული კვლევები და ტოპონიმიკური მასალები, მეცნიერული ტექსტები და ლიტერატურულ-კრიტიკული ნერილები, ახალგაზრდა მწერლების, ხელოვანების შემოქმედება, კუთხის ადრენალინის თავისებურებები და სხვა მრავალი მასალა, ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ლიტერატურული მესხეთი“ ერთ-ერთი საინტერესო ლიტერატურულ-კულტურულ-საზოგადოებრივი გაზეთის საქართველოში, რომლის ფურცლებზე დაბეჭდვა ყველასთვის დიდი პატივია.

დავით ახლოური,
შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, იოსებ გრიშაშვილისა და მირზა გელოვანის პრემიების ლაურეატი

ბალთიარ არაბული,
საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი

მურმან თავდიშვილი,
პროფესორი, ნიკო ნიკოლაძისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატი, „მოთაობის“ კონკურსის ორგანიზაციის მარჯვეული, თბილისის მერიის ოქროს მედალოსანი კულტურისა და განათლების მინისტრის მოადგილე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლისთავისათვის!

„ლიტერატურული მესხეთი“ საქართველოს მგზნებარე სულის ფორმოსტი, ეს არის ლიტერატურისა და ხელოვნების, ლექსისა და ისტორიის, დოკუმენტური პროზის, მოგონებების, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, სანდო და სათუთი ნიმუში ქართული ხელოვნებისა.

მე ყოველთვის ვთვლი „ლიტერატურულ მესხეთს“ არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ მთელი საქართველოს ლიტერატურულ გაზეთად. მრავალჭირნახულმა კუთხემ – მესხეთმა, რომელმაც არაერთი ქართველი გენიოსი აღუზარდა საქართველოს – მე-20 საუკუნის ბოლოს, თავის უბემი დაჰბადა ფენომენალური პოეტურ-პროზაული-სულიერი მედიუმი – „ლიტერატურული მესხეთი“, გაზეთი დღეს 20 წლის გახდა. ეს პერიოდი მან საფუძვლიანად გამოიყენა და მთელ საქართველოს შეახსენა ქართული ლიტერატურის უკვდავების ფორმულა.

„ლიტერატურულ მესხეთს“ გათავისებულებული აქვს ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფო, სწორედ მესხეთში ჰპოვეს თავის არქაულ ფეხს. ქართველთა სამეფო – მესხეთში 888 წელს დაარსებული საყოველთაო საქართველო, უძველესი სისხლისა და სულისგანახლებას მიეღობის დღესაც. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მუშეების, მოსახლის და მესხთა სამშობლო დღესაც ასაზრდოებს საქართველოს ლიტერატურას გენიალური ნიმუშებით!

ამ უდიდესი მიზნითა და აზრით მომავალ გაზეთს ვულოცავ 20 წლის საიუბილეო თარიღს. მის რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებას, სიხარულს, ჯანმრთელობას! იდიდეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მესვეურნო! თქვენ არაერთხელ მოჰგვარეთ მკითხველს ალტაცება. თქვენ არაერთხელ გაგვახარეთ და კვლავაც შეგვახსენეთ ის ფაქტი, რომ ქართული სიტყვა სწორედ მესხეთში აღწევს თავისი განვითარების ზენიტს.

მადლიერებით სავსე მოგილოცავთ დაბადების დღეს!

პახსაპერ ჯაყელი, პროფესორი



წრფელი გულით გილოცავთ!

საქართველოს უმშვენიერესი კუთხის – მესხეთის ბრწყინვალე გაზეთს – „ლიტერატურულ მესხეთს“, რომელიც დაუმახინჯებელი სახით გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის მონაკვეთებს და მომავალ თაობას აცნობს ქვეყნის მტკივნეულ პრობლემებს, გაზეთს, რომლის წილიც დიდია ახალბედა და ეროვნული სულით განმსჭვალული ქართველი მწერლებისა და პოეტების შემოქმედების წარმოჩენაში, ამიტომაც წრფელი გულით ვულოცავთ მის მთავარ რედაქტორს ავთანდილ ბერიძეს და მთელ სარედაქციო საბჭოს გაზეთის დაარსების ოცი წლისთავს და დიდ მადლობას ვუხდით მათ ასეთი ღირსეული შრომისა და თავდადების გამო.

ქართველი მწერლების სახელით: ამირან ჯამუშაძე, რევაზ აბოინიძე, მერაბ სადლოვალაშვილი, დალი ყარაულაშვილი

ქაშაპირი და სიხარული

ოქროს ორი ათეული წელი შესრულებია ქართულ და გულ-გონებით ჯანმრთელ „ლიტერატურულ მესხეთს“. ძველი კოლხეთი ბერიელთა და ქრისტიანული საოცრება ვარძიის აზრთა იდუმალება კრთის მის უწყვეტ შემოქმედებით წერვში.

მრავალგვერდიანი გაზეთის იდეური სიმდიდრე პროზა-პოეზიით, ფილოსოფიამეცნიერებით, ისტორია-მითები-ლეგენდებით და ხალხური თვითმყოფადი ბუნებითაა აღკაზმული.

უამრავი პატრიოტული, საერთაშორისო ზომიერებით ავტორთა ფიქრთა ბინადრობს ჩვენს, ყველასგან სრულიად განსხვავებულ, ლიტერატურულ სალონში. გადაძლიერებული გაზეთის მიმზიდველ გვერდებს და ქართული ზნეობრივი, უსოფარდროინდელი, ინდივიდუალური, ცოცხალი სულიერი ფორმებითაა საკვირველი. ამდაგვარი დაუდგომელი შემართებით, შინაგანი რელიგიური და საერო კულტურის გაზეთი იმეფიანობა საქართველოში...

ნებისმიერ თავისუფალ ნომერში ფერადდება ხალხთა უძველესი მოღვაწეობა, მოქმედება, მონივნება, მოკრძალება, მინიერ-ზეციური ხიბლით. მუდამუამ ძლიერი და მოუღლევი პრესა შესანიშნავად ეხმიანება და თანმიმდევრობით მოგვითხრობს მსოფლიოს ხალხთა მართალ ისტორიას,

სრული შემართებით აღწერს სამშობლოს წარსულის ჯოჯოხეთურ მოვლენებს, ქარცეცხლიან მარად დაუფინყარ საუკუნეებს და წლებს. თანმდევად, პლანეტის ქმნილება სიამაყე ვარძია უმაგრებს ახლად ჩაქსოვილ ქართული სულიერების მხედრულ ბალავერს.

საქართველოში თითქმის ყველა გაზეთი პროფესიონალური გამოცდილებით, ნიჭით და სრულყოფილებით ურთიერთისაგან გამოირჩევა, მაგრამ „ლიტერატურულ მესხეთში“ ეროვნული ბუნების მთრთოლვარე ანდამატურობა, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის კურთხევით, დიდი თამარის ისტორიული ფესვები ილანდება და სიკეთე-სიყვარულის გენიით მშობლიური რუსთველი მოძღვრავს.

უთუოდ მის სივრცეში საუკუნეების მიღმიდან, კოლხურ-იბერიული სულის ხატისა და სიბრძნის უღევი საბადაოა. ხშირად, ზოგიერთ ავტორთა მეოხებით, კოსმიური მესხიერება-იდუმალება წარმოსახვებით ეახლება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ერის ათეული წლებიდან საუკუნეები იხატება, უახლოესი ფორმატის მხოლოდ დამაჯერებელი წარსულის, ანყო-მომავლის

გრძნეულ ლიტერატურულ გამოსახულ გზებზე.

ღვთიური შემართებით ვულოცავ თანამედროვეობის უტყუარ ხალხთა განმანათლებლის, ისტორიულ-ფილოსოფიური, სიახლე-მეცნიერული და მრავალმხრივი ხელოვნების საცავ-გალერეა გაზეთს და მუშაკ ნიჭიერ კოლექტივს, შემოქმედებითი წარმატებების ხანგრძლივი მომავლის თარიღთა ბაჯალლო საწყისს.

მორჩილი ბერივით თვინიერსახება, მამულირვილურ სააზროვნო გამჭვირვალე სივრცეს წინამძღვრობს კეთილშობილი მგოსანი, მაღალი დონის დამსახურებული ჟურნალისტი და თავმდაბლობით ამაღლებული ავთანდილ ბერიძე – მრავალფენიან სიბნელეში საამოდ ანთებული შვიდფერა ლამპარი, უკვე სრულიად საქართველოსაც მოეაღერესა და აღმგზნებ-მომწუხსველი სხივები ქვეყნის გარე სამყაროსაც ანათებს...

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ალაღმართალი ურთიერთობით და ვარძიელთა კეთილშობილით განეზივრებული, უახლოესი მეგობარი: მხატვარ-მწერალი რეზო აღამია



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციას!

ამ გაზეთის სახელწოდებაშივე ჩანს, რომ სამხრეთ საქართველოს ისტორიულ მხარეში – სამცხე-ჯავახეთში ღვთიური ქართული სიტყვის ფენომენი ცოცხლობს. იმედად უდგია ქართველ ერს და ნუგეშია დღევანდელი გაუსაძლისი ყოფით შეჭირვებულ ხალხსა. როგორც სამცხე-ჯავახეთის ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები აგუგუნებენ უფლის სადიდებელ ზარებს, ისე გაზეთი „ლიტერატურული მესხეთის“ ყოველი ახალი ნომრის გამოვლა, ქართული ლიტერატურული პერიოდიკის ძალუმი მაჯისცემაა ერის გადასარჩენად აღვლენილი. რუსთაველის სააკენე სამშობლოში არასდროს არ უნდა ჩაქრეს ქართული სულიერების ლამპარი.

გულითადათ გილოცავთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ 20 წლის იუბილეს. მხნეობას და გამძლეობას ვუსურვებ მის შესანიშნავ მთავარ რედაქტორს და გამომცემელს ბატონ ავთანდილ ბერიძეს, სარედაქციო საბჭოს, გაზეთის უანგარო ქველმოქმედ მეოხებს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, როგორც გაზეთის ერთ-ერთ დამფუძნებელს.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ათასი ჯურის გარეშე თუ შინაური მტრებით გარემოცულ საქართველოში, მასკულტურითა და ყვითელი პრესით სავსე პერიოდიკაში, გამორჩეულია თავისი ეროვნული ბრწყინვალეობით. ღმერთსა ვთხოვ, ძალიან მალე „ლიტერატურული მესხეთის“ გავრცელების არეალი თურქთა მიერ ნაგვერილი ტაო-კლარჯეთიც – ჩვენი ისტორიული მიწა-წყალიც ყოფილიყოს.

ქართული სიტყვის მადლმოსილების მატარებელი გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ გამოცემის მე-20 წლის იუბილეს კიდევ ერთხელ გილოცავთ ივერიელნო!

ვაჟა ოთარაშვილი,

პოეტი, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, ლადო ასათიანის, სახალხო დღესასწაულ „შოთაობის“, ქრისტიანული პოეზიის პრემიების ლაურეატი.

გილოცავთ იუბილეს!

გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ ოცი წელი შეუსრულდა, დაუღალავ შრომაში განვლილი ოცი წელი. ამ პერიოდის განმავლობაში ერთგულ გუშაგად ედგა ქართულ სიტყვას. იცავდა ქართულ ენას, არ გვაძლევდა ჩვენი მდიდარი წარსულის დავინწყების უფლებას და ცდილობდა დღევანდელი განადარჩენას. „ლიტერატურულ მესხეთმა“ გამოავლინა პოეტური და


პროზაული ნიჭით დაჯილდოებული მრავალი ადამიანი. ქართველ საზოგადოებას გააცნო მესხი კაცის ნაზრევი და ნაფიქრალი, უშრეტად მიაწოდა სულიერი საზრდო. ეს არის გაზეთი, რომლის ყოველი ნომრის გამოცემა მოუთმენლად ველით...

ქართველ მკითხველსა და გაზეთს „ლიტერატურულ მესხეთს“, მის ღირსეულ რედაქტორს ბატონ ავთანდილ

ბერიძეს ვულოცავთ გაზეთის ოცი წლის იუბილეს. ვუსურვებთ დიდხანს ყოფილიყოს იგი ქართული სიტყვის სადარაჯოზე.

პატივისცემით,

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის კოლექტივი



გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ დაარსებიდან 20 წელი შეუსრულდა. ეს წლები არც ძალიან ცოტაა და არც ძალიან ბევრი. მე თუ მკითხავენ, გაზეთისათვის, მეტად ახალგაზრდული წელია, მაგრამ ვინც გაზეთის გამოცემის ტკბილ-მწარე გემო არ იცის, ის ვერც მის ახალგაზრდობას და ვერც მოხუცებულობას გაიგებს.

კვლავაც წაგაბატი გელვანო!

„ლიტერატურულმა მესხეთმა“ მისი გამოსვლის პირველი დღიდან მოიპოვა პოპულარობა, იგი მტკიცედ დადგა მესხეთის, ამ ისტორიულად ტანჯული რეგიონის მოსახლეობის სულიერების, ზნეობის, კულტურის, მწერლობის, მწიგნობრობის, ეთნოგრაფიის, კულტურული მემკვიდრეობის ერთგულ სადარაჯოზე. აფერუმ, გაზეთის რედაქტორს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს, რომელმაც შეუძლებელი შეძლო, მარტოსულმა „ბერძენებმა“ შემოიკრიბა არა მარტო რეგიონის საზოგადოებრიობის აქტიური წევრები, არამედ სრულად საქართველოს ცნობილი მწერლები, პოეტები და სწავლული ადამიანები, გაზეთის თითოეულ ნომერში გამოქვეყნებული პუბლიკაციური წერილები, ლექსები თუ ინფორმაციები, განმსჭვალულია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით, წარსულის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნით, ოპტიმიზმით. სასიხარულოა ისიც, რომ ბატონი ავთანდილი შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭითაა დაჯილდოვებული, ათი წლის წინ მისი ინიციატივით აღდგენილი იქნა „პოეზიის სახალხო დღესასწაულის – შოთაობა“ და რამდენიმე წიგნი მესხეთის შესახებ, სულ ახლახან კი

750-გვერდიანი შესანიშნავი პოეტური კრებული – „მესხეთი ქართულ პოეზიაში“, – გამოსცა. მისი შემოქმედება კი ნამდვილად ამოუწურავია. სწორედ ამიტომ, რომ გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ არა მარტო რეგიონის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატურული და სამეცნიერო საზოგადოების საყვარელი გაზეთია. ვუსურვებ გაზეთის სარედაქციო საბჭოს თითოეულ წევრს, უპირველესად, მის უბერებელ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს მხნეობას, გამძლეობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ-ახალ წარმატებებს. მომავლის იმედი არ დაგეკარგოთ მეგობრებო! თქვენს ნიჭს, შემართებას და აზრის სიცხადეს ჩრდილი არ მიკარგოდეს, კვლავაც ღირსეულად გელვანოთ, თქვენს კალამს კი ჟანგი არ მოდებოდეს.

პატივისცემით,
ვალერიან ლომიძე,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი,
რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

ზივს სყოიერი მოსიქსა...

ოცი წელი გასულა მას შემდეგ, რაც საქართველოს ძირძველ მიწაზე, მესხეთ-ჯავახეთში, კიდევ ერთი ბეჭვდითი ორგანო, „ლიტერატურული მესხეთი“ დაარსდა. „მესხეთი არის აკვანი საქართველოს დიდებისა“ –ო, უთქვამს მოსე ჯანაშვილს და რაოდენ საამაყოა, რომ ამ აკვანს ღირსეული მარჯვენით არწევს ისტორია და ლიტერატურა ამ კუთხისა და, ზოგადად, ჩვენი ქვეყნისა. ოცი წელი ცოტა არაა, ღმერთების ენაზე ამეტყველო გაზეთი. მით უმეტეს, ისეთი წარსულის რეგიონში, როგორც ეს მხარეა. იქ, სადაც ქართულმა ენამ, ქართული სარწმუნოებისა და ქართული კულტურის ბედი გაიზიარა. სადაც, ერთ დროს, გაბატონებულმა ისლამმა მაჰმადიანური ფანატიზმის ჭაობში ჩაძირა ქართული, მეზრძოლი სული. იქ, სადაც, თალიან ცამრგვალს, ნახევარმთვარის დალი დღემდე ატყვია. სწორედ აქ, შოთას სამშობლოში, უნდა დაბადებულიყო ლიტერატორთა სუნთქვით და სიყვარულით გაჯერებული გაზეთი, ნიშნად „ჰადესების სახლების“ არსაქიოებისა.

ავთანდილ ბერიძეს და მის მთელ შემოქმედებით ჯგუფს. ისინი, ოცი წელია, ღირსეულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებიან ქართული სიტყვიერების საპატიო საქმეს, იცავენ ენის სინამდის, რომელიც, როგორც ილია II ბრძანებს – „...არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა, იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი!“ სწორედ მათი დამსახურებაა, რომ გაზეთი რეგიონის ლიდერად იქცა. ისიც, რომ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე მოთავსებული მასალა იმდენად მრავალფეროვანი, ტყეადი და შინაარსინია, რომ ნებისმიერი მკითხველის გემოვნებასა და ინტერესს აკმაყოფილებს. მინდა მივულოცო გაზეთის თანადამფუძნებელ, უკვე მრავალ თაობათა აღმზრდელ სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტს. მათი კეთილგონიერული თანამშრომლობა ხელს უწყობს რეგიონში იდენტობის შენარჩუნებას, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებას. კიდევ ერთხელ გილოცავთ! გისურვებთ ერთგული მკითხველის სიმრავლეს. არ მოგკლებოდეთ უნარი სიცოცხლისა და ობიექტურობისა, მრავალჟამიერ!..


კლარა გელაშვილი,
მწერალი, პოეტი და პუბლიცისტი ქსანურში

„ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს!

ბატონო ავთანდილ, თავდავინებებით მივყარს მესხეთი. ბავშვობაშივე მთელი არსებით მიმიზიდა ასპინძამ განუყოფელი, უნიკალური ვარძიითა და ციხე-ტაძრებით, სტუმართმოყვარე, გულთბილი და გულწრფელი ხალხით. სამუხაროდ, მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი ფსევები აქ იყო. აქედან ქრისტეს რჯულის გადარჩენისთვის აყრილან თედორაძეები და თურქთაგან აჭარის მიტაცებამდე დასახლებულან ბათუმთან ახლოს მდებარე სოფელ ერგეში. ეს ამბავი მოგვიანებით გავიგე და სრულიად ნათელი გახდა ჩემი სიყვარული და ლტოლვა ასპინძისადმი. აჭარაში თურქთა ბატონობის თითქმის სამასი წლის მანძილზე აქაურ თედორაძეებს გვარი არ შეუცვლიათ, არც „ოღლით“ დაუშინებიათ, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური სანქციებისა, ჩემი წინაპრები ამაყად და ჯიუტად ატარებდნენ თედორაძეობას. დღეს სოფელ ერგეს ულამაზეს უბანს, ქვემო ჯოჭოს, ამშვენებს წმინდა მღვდელმონაქმე თევდორე კველთელის სახელობის ტაძარი, რომელიც თედორაძეებმა ავაშენეთ. მგონი, ძალიან გამიტაცა გვარის ფესვების სიყვარულმა. არადა, ჩემი მიზანი „ლიტერატურული მესხეთის“ დაარსებიდან ოცი წლისთავის მილოცვა გახლავთ. ჩემო ავთო, „ლიტერატურული მესხე-

თის“ მთავარ რედაქტორო, პოეტო და ლიტერატორო, ნაღდო, სამართლიანო მამულიშვილო! გლოცავ და ვულოცავ ამ მშვენიერ გაზეთს დაარსებიდან ორ ათეულ წლისთავს. გულწრფელად ვამბობ, „ლიტერატურული მესხეთი“ უხინჯოდ, უნაკლოდ ასრულებს თავის დანიშნულებას. ის არა მარტო მესხეთის, არამედ სრულიად საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს და მკითხველს ათვითცნობიერებს და აყვარებს ქართულ პოეზიას, პროზას, მესხეთს – ტკივილიანი წარსულითა და დღევანდელით. საიუბილეო თარიღს ვულოცავ ყველას, ვინც შენთან ერთად ზრუნავს მესხეთში ლიტერატურული ცხოვრების გაშლა-გაფართოებისათვის. დღეგრძელი იყოს „ლიტერატურული მესხეთი!“ დღეგრძელი იყავით თქვენ, ჩემო ძვირფასო პატრიოტებო, ამ მრავალჭირგამოვლილი კუთხისა.

სიყვარულით,
დავით თაღორაძე,
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე



გიორგაუთ საიუბილეო თარიღს!

„ლიტერატურული მესხეთი“ მნიშვნელოვანი გაზეთია პუბლიცისტიკის თვალსაზრისით, რომელიც დიდი სიყვარულით სარგებლობს მკითხველში არამარტო მესხეთში, არამედ მთელ საქართველოში. მასში გაშუქებული სხვადასხვა ისტორიული თემები თუ მეცნიერული სტატიები, წერილები, ლიტერატურული ნაწარმოებები, პროზა და პოეზია, იზიდავს საზოგადოების უდიდეს ნაწილს და, რაც სასიხარულოა, მოსწავლე-ახალგაზრდობას, რადგან მათი წიგნიერების ამაღლებას უწყობს ხელს. მარტო ის რად ღირს, რომ გაზეთის ეპიგრაფად ნამდვარებული აქვს გ. ლეონიძის სიტყვები: „დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი!“ დიხს, სწორედ ასეთი გაზეთი ეკადრება იმ მხარეს, სადაც შოთა რუსთაველის აკვანი დაირწა. იქნებ ინებოს უფალმა და კვლავაც აღზარდოს რუსთაველი მესხმა, რამეთუ,

მესხეთი იყო, არის და იქნება საქართველოს განათლების კერა. მჯერა ეს გაზეთი შეიტანს ამ საქმეში უდიდეს წვლილს, რადგან ოცი წელია კვებავს მესხეთის ნიჭიერი ხალხის სულს და არამარტო მესხეთს. მისი, მართლაც თავდადებული, შემოქმედებითი სარედაქციო საბჭო, ბატონ ავთანდილ ბერიძის ხელმძღვანელობით, მადლობისა და ქების ღირსია. არ მოკლებოდეს სულიერ საზრდოთ მესხეთს და საქართველოს „ლიტერატურული მესხეთის“ ძარღვიანი სიტყვის მადლი და გონიერი მკითხველის სიყვარული. გილოცავთ საიუბილეო თარიღს! თქვენი თავყანისმცემელი,
ვლადიმერ ველიჯანაშვილი,
პოეტი, ადიგენი, სოფელი ფხერო

ქართული სულის უკვდავების იმედიანი მასნი!

ოცი წელია ერთგულ მეციხოვნედ უდგას მესხეთს „ლიტერატურული მესხეთი“! მაგრამ მესხეთი ხომ სამხრეთ-დასავლეთის მთავარი გოდოლია საქართველოს? ამიტომაც, უფრო მართებული იქნება, ასე ვთქვათ: ოცი წელია ერთგულ მეციხოვნედ უდგას „ლიტერატურული მესხეთი“ მთელს საქართველოს! თანაც, როგორ მეციხოვნედ – გრიგოლ აბაშიძის „ჯაჭვგაუხმელის“ განსხვავლებად! „ლიტერატურული მესხეთი“ ქართული სულის უკვდავების ერთი იმედიანი მაცნეა, ქართული ენის საგანძურის ერთი სანდო მცველი. მის მახვილ თვალს

და ფაქიზ სმენას არც ჭეშმარიტი შემოქმედის სუნთქვა გამოეპარება და არც ეროვნული და კეთილი საქმე, რომ მთელს საქართველოში მომლოდინე თავის მკითხველს გაუზიაროს, გააცნოს, აუწყოს, იმედით, სიხარულით და სიამაყით აღავსოს. თანაც რა დახვეწილი და ძარღვიანი ენით მეტყველებს ეს ჯაჭვგაუხმელი მეციხოვნე საქართველოსი! „ლიტერატურული მესხეთი“ ყველაზე აპოლიტიკური გაზეთია, მაგრამ, ამავდროულად, ყველაზე დიდი პოლიტიკის შემოქმედებიც – მისი თავანკარა ქართულიც და მისგან მოგვრილი იმედიცა და

სიამაყეც განსაკუთრებულ ფასს იდებს დემოგრაფიულად რთულ მის მშობლიურ მხარეში – მთავარ ოცნებად ქართული სულის კათარზის, რუსთაველის საქართველოს აღორძინებად რომ უქცევია. ყველა გაზეთი მისი რედაქტორის სულის ანარეკლია. მადლობა მინდა ვუთხრა ქართული კულტურისთვის მუხლჩაუხრელად მოღვაწე კაცს, ჩინებულ ლიტერატორს, მკვლევარს და პოეტს ბატონ ავთანდილ ბერიძეს და „ლიტერატურული მესხეთის“ მთელ სარედაქციო საბჭოს ამ ოცი წლის მანძილზე განუვლი შრომისათვის, ერთგულებისათვის, სა-

ქართველოს სიყვარულისათვის, უტყუარი გემოვნებისათვის, ღვაწლმოსილთა დაფასებისათვის და ახალგაზრდა შემოქმედთათვის გზის დალოცვისათვის! ვულოცავ „ლიტერატურულ მესხეთს“ ოცი წლის იუბილეს! ვულოცავ საქართველოს „ლიტერატურული მესხეთის“ ოცი წლის იუბილეს!
დიმიტრი კორძაია,
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

ვილოცავთ ოცნლიან იუბილეს!

ნებისმიერი გაზეთი ასახავს თავისი დროის საზოგადოებრივ-სოციალურ და სხვა სახის ყოფას. „ლიტერატურული მესხეთი“ იმთავითვე ჰქონდა ამბიცია, რომ წარმოეჩინა სამხრეთ საქართველოში მოღვაწე მწერლების, პოეტების შემოქმედება...

მესხეთის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრება, რომელსაც სრულყოფილად ასახავს ეს გაზეთი, კიდევ უფრო წარმოიჩინდა და საინტერესო სახე მიიღო ჩვენი ჟურნალის „არავის“ ფურცლებზე...

ჩვენ გვყავს ბევრი საერთო ავტორი, ვემსახურებით ერთი და იმავე საზოგადოებას, ქვეყანას, გვაქვს საერთო მიზნები, ამიტომ ჩვენი ჟურნალისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაზეთის წარმატებულ არსებობას...

მერაბ ბერიძე.
ჟურნალ „არავის“ რედაქტორი

„ლიტერატურული მესხეთი“ 20 წლის გამზადება

როგორ გარბენილა დრო, თითქოს, გუშინ იყო და არა ოცი წლის წინ, რომ დაიბადა „ლიტერატურული მესხეთი“, პირველი თოვლივით ურუნტილის მომგვრელი...

მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის არიან ჩვენში სამშობლოს ხველინდელ დღეზე მოფიქრალი ადამიანები...

ოცი წელია გამოდის „ლიტერატურული მესხეთი“, რომელიც ერთ-ერთ უწყვეტ ბურჯად უდგას დღეს საქართველოს უღამაზეს და ისტორიულ მხარეს – მესხეთს...

მიდიოდა ცხოვრება მესხეთში „ლიტერატურული მესხეთის“ გარეშე, მაგრამ ახლა ნამდვილად ვერ წარმოიმდგენია მიდიოდეს ცხოვრება ამ მხარეში ამ გაზეთის გარეშე...

„ლიტერატურული მესხეთი“ გამოდის მესხეთში, მაგრამ თუ გადავხედავთ მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მეტად საინტერესო და მრავალფეროვან მასალებს...

ვულოცავ გაზეთის სარედაქციო საბჭოს, პირადად მის დამფუძნებელს და უცვლელ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს...

ნოზა დარჩაძე,
პროფესორი, ირანისტი

პატრიოტული სულიკვებით გაჟღერებული გაზეთი

გულთადად ვულოცავთ ჩვენს უსაყვარლეს და საამაყო გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“, მის მთავარ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს...

ოცი წელი თითქოს არც ისე ბევრია პერიოდული გამოცემისთვის, მაგრამ მთავარი ხარისხი და შედეგია... იმ დროს მესხეთში, სერიოზული საისტორიო და სალიტერატურო თემეტიკით დაინტერესებული მკითხველისათვის ესოდენ საჭირო პერიოდული გამოცემის დაარსება შეიძლება შეგადაროთ...

„ლიტერატურული მესხეთი“, დღიდან დაარსებისა, პირველად და წარმატებით იბრძვის ქართული სიტყვის და ქართული სულის დაცვა-აღორძინებისთვის სამხრეთ საქართველოში...

გასაოცარია თავად ბატონი ავთანდილის დაუშრეტელი ენერჯია, პროფესიონალიზმი და პატრიოტული სულისკვეთება, რომელიც, დარწმუნებული ვართ, გაზეთის ყოველი ნომრის უმუშალო შემდგენელი და გამოცემის სულის ჩამდგმელიცაა...

თქვენი გაზეთი თავისი მრავალფეროვანი შინაარსით, ხარისხით და მნიშვნელობით სცდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მასშტაბებს...

ახლა როცა ციფრული ტექნოლოგიებით გაჯერებულ სამყაროში პრობლემას აღარ წარმოადგენს ნებისმიერი გაზეთის თუ პუბლიკაციის მოძიება და ნაკითხვა, ბევრი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, მეც მაინც დიდ სიამოვნებას მეგობრის „ლიტერატურული მესხეთის“ ძველი თუ ახალი ნაბეჭდი ნომრის „ხელში ჩაგდება“ და თუნდაც ხელმოწერად გადაკითხვა...

კიდევ ერთხელ გულითადად ვილოცავთ გაზეთის იუბილეს და დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ბედნიერებას და შემდგომ წარმატებებს!

კუკუხრი მებტრეპალი,
პროფესორი



ჟურნალ „ჭოროხის“ სახელით

დღეს, ელექტრონის, კომპიუტერის, ატომგულისა და ავტოსტრადების ეპოქაში, როცა გლობალიზაციის გავრცელებული მდინარე გაქრობითა და გადაგვარებით ემუქრება პატარა ერებს...

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული კულტურის აკვანი სამხრეთ საქართველოში, კერძოდ, ტაოსა და მესხეთში დაირნა, სადაც დაიბადა ყველა დროისა და სივრცის თვალმუდგამი სიდიდის პოეტი შოთა რუსთაველი...

ასევე, ნიშანდობლივია ისიც, რომ დიდი ნინაპრების მიერ გაკავალულ, ტრადიციულ გზას ადგას და სახელოვნად აგრძელებს მას გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, რომელიც, სულ რაღაც, ორი ათეული წლისაა, მაგრამ გაკეთებული საქმეებით, ასწლეულები შეიძლება გადაითვალოს...

გაზეთმა არსებობის ძალიან მოკლე დროში, მისი მრავალფეროვნებით, სიღრმით, სირთულით, სისადავით და შინაარსით შეიძინა ფართო მკითხველი, მიაგნო საკუთარ ხმას და გაამდიდრა მკითხველის სული, გაზარდა მისი ცნობიერება, განუმტკიცა შემცნებება...

ჟურნალ „ჭოროხის“ სახელით ვულოცავ გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთს“ ლამაზ იუბილეს.

ჟურნალ „ჭოროხის“ სახელით ვულოცავ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მთავარ რედაქტორს ბატონ ავთანდილ ბერიძეს, შესანიშნავ ადამიანს, მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს გაზეთის იუბილესა და ვუსურვებ წარმატებებს.

ვულოცავ რედაქციის თანამშრომლებს, გაზეთის მკითხველებს. ვულოცავ ლიტერატურულ წრეებს. ვულოცავ სრულიად საქართველოს. ვიდრე ქართველი კაცი დაბაიჯებს მზისქვეშეთში, მანამ ისმოდეს შვეხად და იმედად „ლიტერატურული მესხეთის“ ომბიანი ნმა.

სანდრო ბერიძე,
ჟურნალ „ჭოროხის“ მთავარი რედაქტორი

მახყლი მართალი, მაღლიანი მისწყვი და მზიანი მკაღანი...

სხვა დროსაც, არაერთხელ, პრესითაც და საჯაროდაც მიტყავს, – მესხეთი საქართველოს სამხრეთის კარიბჭეა, ისტორიულად – საქართველოს წარსულის ხატი და ცივილიზაციის აკვანი, გენიალური რუსთაველის ნაფუძარი და ნატურფალი, დღეს კი – ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი რეგიონი.

გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“ ამ რეგიონის მართალი, მაღლიანი მისწყვი და მზიანი მემბტიანეა; იგი, ერთდროულად, ცხოვრების მეკვლევ არის, მებაიხბეტცე და მოძღვარიც, დიდი თაოსანია სრულიად საქართველოს სახალხო დღესასწაულის „შოთაობისა“,

„ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე ლიკვივებს ხალხის ტკივილიცა და სიხარულიც; ფიქრიცა და მიზანიც; მამულის სიყვარულიც, საერო საქმეც, რწმენაცა და იმედიც.

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ სახელით, სულითა და გულით ვულოცავ მესხეთის მისწყვეს – „ლიტერატურულ მესხეთს“ ჭეშმარიტი ეროვნული საქმიანობისა და მოღვაწეობის 20 წლისთავის საიუბილეო თარიღს, წინსვლასა და, კვლავ უფლის გზით სიარულს ვუსურვებთ, როგორც ამადგარ გაზეთის, მის მთავარ რედაქტორს, ჩვენს დიდ მეგობარს, დიდ ქართველს – ავთანდილ ბერიძეს, სარედაქციო საბჭოსა და სრულიად მესხეთს.

უზენაესი სიყვარულითა და უზენაესი პატივისცემით,

ფარნა რაინა,

მწერალთა ასოციაცია „ლიტერატურული კახეთის“ თავმჯდომარე, გიორგი ლეონიძის, ჟურნალ „ოლეს“, ტურნტი გრანუსის, ვაჟა-ფშაველას, ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი, „ქართული კულტურის ამბადარის“ მედლითა და „ღვანლმოსილის ნოდების დობლომით“ დაჯილდოებული, მრავალ ლიტერატურული კონკურსში გამარჯვებული

გზა სიკეთისა

ვულოცავ ყოველმხრივ მრავალფეროვნებით შემკული გაზეთის – „ლიტერატურული მესხეთის“ – სარედაქციო საბჭოს, პირადად მის რედაქტორს, პატრიოტს და შემოქმედს, გაზეთის სულისჩამდგმელს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს ოცნლიანი ტიტანური შრომისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის იუბილეს – ერის, ქვეყნის და ჩვენი მრავალტანჯული მხარის – მესხეთის გაციისკროვნება-წარმოჩენისათვის.

პროზის, პოეზიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, მატინის, ღვანლმოსილი ადამიანების, ახალგაზრდა შემოქმედთა მარგალიტების და სხვა მრავალი თემატიკის წარმოჩენა – ესაა ის ძირითადი კრედი და მიზანი, ყოველთვიურად ამეყველებული მრავალგვერდიან გაზეთის ფურცლებზე რომ გვხვდება. მან წარმატებით გაუძლო მრავალ დაბრკოლებას-პრობლემას, დღეს კი ღირსეულად ეწევა ჭაბანს რუსთაველის გზის შემოკლება-დამშვენებისათვის და საპატიო ნიშა უკავია ქართული პრესის ერატიკაში.

გზა სიკეთისა და გამარჯვებებისა ჩვენს გაზეთს – „ლიტერატურულ მესხეთს“!

პატივისცემით,
თქვენი ერთგული მკითხველი და მეობი

ვლადიმერ ზაღვიანიძე

პოეზია

ალექსი მოგბერაშვილი

ზამთრისპირი

ზეცაა მრუმე და მოქუფრული, ველარ კეკლუცობს ჯადოსნურ ეშხით, ჩაქრა ასკილის ელვარე შუქი ამ გოლიათი მუხების ტყეში.

ბატონობს ყველგან, სასწაულებრივ, უიმედობა – ერთობ მზაკვრული, რა მომქანცავი და დამორგუნველი, ვით სასაფლაოს დუმილი სრული.

ფიქრი ფიქრშია გადახლართული, სევდა დამცხრალი კვლავაც აინთო, გულს შემოეჭოდ როგორც მარნუხი, დროა ისეთი, – არვის დაინდობს.

ქარი თარეშობს, ანჩხლი, ვერანი, ორლობებში ბედავს ბორიას, ...

არის მკაცრი და არის ვერაგი, ეს ზამთრისპირის მელანქოლია.

... ვხედავ ბერიკაცს გაძარცვულ ბაღში, ახლა როდესაც ფინფლავს და თქორავს, ჩასცქერის მეტად თვალნაღვლიანი, ფერდაკარგული ფოთლების გროვას.

ფარცხვენი

დაცოტავდნენ, დაცოტავდნენ, სოფლად ჩემი მეზობლები, მზე ჩაუქრა მაინც რამდენს, მკაცრი ჟამის განვლეს გზები.

თუ ცხოვრობდა ჭერქვეშ ათნი, ერთს დალანდავ ახლა მხოლოდ, დგას მდუმარედ ბევრი სახლი, წარსულ დროთა სამახსოვროდ.

უსაშველოდ სევდით სავესე – სწრაფად სრბოლას ვერ თობს წლები, ვაჰმე, როგორ დაცოტავდნენ სოფლად ჩემი მეზობლები.

ჩვენი წხოვრება

დროდადრო ვილხენთ, რაც ეგზომ გვშვენის, ზოგჯერ კი დარდი შეგვძრავს გულამდე, ამგვარად გადის ცხოვრება ჩვენი, – გაზაფხულიდან გაზაფხულამდე.

დღეს თუ ოცნება არის დამცხრალი, ხვალ მისი სხივი ააღწევს ცამდე, და ასე მიქრის მუდმივად ჟამი, – ფოთოლცვენნიდან ფოთოლცვენამდე.

რა მკაცრი არის ბუნების წესი, – შევუერთდებით უჩუმარ ლანდებს, მაინც იმედით რაღაცას ველით, მაინც ებობოქრობთ აღსასრულამდე.

უჭირისუფლო საფლავები

უჭირისუფლო ეს საფლავები – ვეება სევდით ამავსებს უმალ, აქ დუმილია ძლიერ დამლული, სანთელიც დიდხანს არ ანთებულა.

შებინდებისას გამკაცრდა ცამდე საყდრის ეზოში – დუმილი უფრო, მწარე სინანულს ინახავს რამდენს – ეს საფლავები – უჭირისუფლო.

წინაპართა სამყოფელი

მზემ ჩაჰკარგა ბოლო სხივი მუხნარის ტყის დასალიერს, დაბარბაცებს ჩუმად ბინდი, აფერმკრთალებს ყვითელ იელს.

საამოდ და როგორც ზღაპრად, – ჩამყუდროვდა კვლავ სოფელი, სალამოა, ახლა ნაღდად, ვრცელი ფიქრის მათრობელი.

სხვა ეშხი აქვს, სულ რომ შვენის გარინდებულ ორლობებს, გრილი სიო ფრთხილი ვნებით უაღერსებს ხეთა რტოებს.

არის მართლაც მუდამ სანდო, და ძვირფასი აქ ყოველი, რა ტკბილია, რა უბადლო, წინაპართა სამყოფელი.

ოქროს სიხე



სიური მესხიშვილი

ეპიგრამი მამის წერილი

მარტის ღრუბლებს ვაცილებდი, ქარს ვანდობდი ხომალდებს; მცველად ჰყავდა ჯარისკაცი – მზეს რომ ჰყავდა ომამდე... თებერვალის მწვავე სუსხი, მარტის კაბას კერავდა, არ მეგონა, თუ ენძელებს ტყვია გადათელავდა!... დაიზაფრა გაზაფხული, თვალებს ველარ ახელდა, და თბილისის კარიბჭესთან წითელი მზე გახელდა... სამფეროვან ქართულ დროშას ველარ გააფურადებ!.. კრიფე მამის ბარათები, კოჯორ-ტაბახმელამდე! დიდ ექვთიმეს ვაცილებდი, მარსელში რომ ელოდნენ... ეჰ! შორია, უკვე, შვილო, ლამაზ საქართველომდე!..

ჩემად ეფერებოდა

დედი! – ვითომ დამესიზმრა: საქართველო ტიროდა, ღვთისმშობელი ხელს მიქნევდა, ღრუბლისფერი ტილოდან! ვქვითინებ და ცრემლით ღებვა ჩემი თეთრი ბალიში, როცა მთვარე როიალზე უკრავს შავი კლავიშით: შავი ჩოხა დამეკარგა თავის თეთრი ყანშით,

ალარ ყივის სამაჩაბლოს და შავი ზღვის არნივი. ახლა უფრო მეშინია, მგონია რომ მზეც კვდება... როგორ მოვალ შენს საფლავზე ისიც თუ არ მექნება?! „მე ჯავახეთს რა მიჭირდა“... მახსოვს, ბებო მღეროდა, კალმახისფერ ბადრი მთვარეს, ჩუმად ეფერებოდა!.. უცებ ციდან ჩამოფრინდა ღრუბლისფერი ტილო და ... დედი! ვითომ დამესიზმრა: საქართველო ტიროდა!

სამშობლოს რუკა

„არასოდეს არ დამცროდე, საქართველოს რუკასავით“

თ.ჩალაბაშვილი

რა სიხარული მელოდა წინ და სინანულივით ჩამომრჩა უკან, სადღაც დავკარგე ლამაზი წინდა, საშობაოდ რომ მაჩუქა ლუკამ. გადამავიწყდა უცებ ის წინდა, თვალი რომ ვკიდე ჩარღვეულ გოდორს, ქვემეხი თითქოს ტყვიამფრქვევს ცლიდა, და თვალებს თხრიდა ძველ ციხის გოდორს. უცებ მოფრინდა მტრედი გრაგნილით, ცეცხლმოსადები პატარა ლექსით, ის ღამე იყო ტრფობა ნამდვილი, – გულში გაყვრილი დანაც და ნემსიც. ვინ დაგვაცალა კოცნა, ალერსი? – ომმა წამართვა ლურჯთვალა ლუკაც, ვილა დაეძებს უკვე ორთავეს როცა აღარ მაქვს სამშობლოს რუკა?!

უფლისჩიტა

(ტერენტი გრანელს)

მზეს ეხურა ვარდისფერი ბერეტი, მთვარეს ხელში თეთრი ჯოხი ეჭირა, ჩიტებს თვლიდა ხიდან-ხეზე ტერენტი, სულ ბელურებს (ხან მზეწვიებს) მეტნილად!

რადგან მაშინ გაზაფხულის დრო იყო, ბელურები გრანელისთვის გალობდნენ, მერე, როცა შემოდგომა მოვიდა, ჭირისუფლად მიჰყვენენ სასაფლაომდე!..

მოიხდა მეფეთ-მეფემ ბერეტი, მთვარეს ხელში ვერცხლის ჯვარი ეჭირა, აღარ თვლიდა ხეზე ჩიტებს ტერენტი, თავის ჩიტაც უფლისთვის შეენირა...

ისევ მოვა გაზაფხული გაისად! ძველებურად იფეთქებენ შინდები, ატმის ტოტზე ბელურის ხმა გაისმა: ხიდან-ხეზე ისევ გადავფრინდები!..

დავიხურე ვარდისფერი ბერეტი, მზემ მაჩუქა, მას ეხურა აქამდე! არ მეგონა თუ სიზმარში ტერენტის უფლის ტახტზე უფლის ჩიტად ვნახავდი!

ხასანბეგურა

(სალალობო)

ზუსტად ისე მენატრები, როგორც ბაღებს – ბელურა, იმ საღამოს, ნეტავ, ჩემთვის, კარი არ მოგვხურა! გათოვდა და რა გათოვდა... დილამდე რას დათოვდა?!

თოვლის პაპა გააკეთეს: ანამ, თაკომ, დათომ და... გაღმა სოფლიდან გვესტუმრა კობტა ბიჭი იაგო, უნაგირი ჩამოხადა, ცხენი თივას მიაგდო!.. ციცა-გოგო შეეფეთა, – ნიავივით, კარებში, გულისსწორად დაიგულა იმოდენა ქალებში!.. გაუბრაზდა (ვითომ) გოგო: ნუ მიყურებ თვალებში! თორემ ჭორი, ჭორი ნავა ჭორიკანა ქალებში... – ჰოი, გოგო! – მეც ეგ მინდა, ჩაგიხუტო მელავებში, თეთრი კაბა შეგიკერო ყაყაჩოსფერ ყანებში... ამ ამბავში როცა იყვნენ შემოფრინდა ბელურა, კიდევ კარგი, დედას კარი კარგად არ მიეხურა! როგორც იქნა, ჩამოლამდა, დრო დაუდგა იაგოს, ციცას უბეს წაეტანა, – შიგ მწყერჩიტებს მიაგნო... ზუსტად მაშინ აფრუტუნდა მისი თეთრი იაბო, მის ჭიხვინზე გაელვითათ თუთიყუშს და იადონს... აჭიკჭიკდნენ, დაიძახეს: – ტუჩი ტუჩზე მიადო!.. სხვა ამბავი? – აღარ გვითხრეს! ან რა უნდა გვიამბონ?!.. ძველის-ძველი ოდა-სახლი, მღერის ხასანბეგურას ... თუთიყუშმა შეიყვარა ჩვენი ცელქი ბელურა!..

პროზა

მაია ლიაკონიკა



ნელა-ნელა გამოძვრა ლოგინიდან, ნამოჯდა, ხელის ცეცებით მოძებნა ფეხსაც-

მელები, ჩაიცვა, წამოგდა, საწოლის კიდეს დაეყრდნო, კუთხეში მიდებული ჯოხი აიღო და კარებისკენ კაკუნით გაემურა, ცალ ხელს ყავარჯენს აბჯენდა, მეორეთი კედელს მიუყვებოდა. კარებამდე მიადგინა და ცოლს დაუძახა: — მართა, ჰაი, მართა, ავედექი, ქალო! — ხმა არავინ გასცა. მიაყურადა, არსადინ ჩამი-ჩუმად არ ისმოდა. — ალბათ სამშობლოში წავიდნენ, ბიჭი უნდა მოიყვანონ, — ნაიბუტბუტა, აივანზე ვარაუდით თავისი სამფეხა სკამი მოძებნა, ჩვეულ ადგილზე იდგა, კედელს მიაყურა და დაჯდა. გაახსენდა, სულხანმა, მისმა შვილიშვილმა, ბევრჯერ შესთავაზა, სავარძელს დაგიდგამ, მოხერხებულად დაჯდებიო. არ დათანხმდა, გლეხი კაცი ვარ, თავადი კი არა, სავარძელზე ნამოვსკუპდეო. ახლა გაახსენდა ეს ამბავი, ჩაეცინა, სწორედ სავარძელი მეკუთვინს, შვილ-



ნებდა, ლობრგადაკრული თვალებით დღეს ეფოფინებოდა, იმზევებდა, ეჯავრებოდა სიბნელე. ამიტომ, სახამ დღის მუქი იყო და მზე ანათებდა, აივანზე იჯდა, ხანდახან ეზოშიც ჩავიდოდა, მაგრამ იმდროინდელი მამა იქ არ მომისწროს, თორემ მერე ზევით მკვდარს როგორ ამიტანენო, ეცოდებოდა შვილიშვილი. შვილისგან ეს ბიჭი დარჩენოდა, თავად გიორგი აფხაზეთის ომში დაიღუპა. დადუმდა ოჯახი, მაგრამ დაქვრივებული რძალი დედამთილ-მამამთილთან გადმოვიდა საცხოვრებლად, ამ სახლის კედლებსაც გიორგის სუნი სდითო, წელში გასწორდნენ მოხუცები, ბიჭს ფეხზე დაყენება სჭირდებოდა, მამის საფლავუნახავს ვერავის დააჩაგრინებდნენ, კლდე იქცა კაცი, სახლიც გამართა, უმაღლესიც დაამთავრებინა შვილიშვილს, მაგრამ ბიჭი ქალაქში არ დარჩა. მამაპაპისე-

ული კერიისკენ მიუწვევდა გული, მეურნეობა შეაკონინა, სულს ითქვამდა მის ხელში ვაშლი და ატამი, ისე უვლიდა ხეხილს, ოქროს ხელეტი ჰქონდა, საჯიმე ნერგები გამოჰყავდა, ამით ოჯახის სარჩენ ფულს შოულობდა, დაქონდნა ოქროსკულულება ხატიანზე, მეზობლის გოგონაზე, მოხუცს ბავშვობიდან ახსოვდა კაფანდარა მეზობელი, თხილს რომ არ უყენებდა ეზოში, ახლა, ბიჭიც გაუნდათ ახალმუდებულებს, დღეს უნდა გამოწერონ დედა-შვილი საავადმყოფოდან, ბავშვს გიორგი დაარქვენ, მისი ვაჟის სახელი. შვილი გაახსენდა, მისი პატარაობა, — ნეტავ თუ ჰგავს ბაბუამისს, — გაიფიქრა, მერე ომში მამავალი წარმოიდგინა, გალიმებული, სამშობლოს დასაცავად წასული, უკან არდაბრუნე-



— ისევ წვიმს? — კითხულობს პირველი სტუმარი. — წვიმს, წვიმს, რა კოკისპირული წვიმა იცის ამ ოხერში, დაინწყება და აღარ მთავრდება. ქვეყნის დაქცევა, მგონი. ხვალ ამ ტალახებში როგორ წახვალთ? გაგიჭირდება პატარებთან ერთად გაჩერებამდე მისვლა, მერე კიდევ სხვა ავტობუსით თბილისში გამგზავრება, მეხუმრები?! მანქანა აქ არ მოვა ან ვის ეტყვი, წამოყვანო, ყველას თავისი დარდი აქვს. ბენზინის ფულიც აღარ აქვს ხალხს, პატივი რომ გცენ. ხომ არ გეტყვიან, ფული არ მაქვს, ბენზინი ჩამისხიო. ურჩევნიათ რამე სხვა მიზეზი მოიფიქრონ: არ მცალია, ავად ვარ და ა. შ. არადა, რა პატივისცემა იცოდნენ?! ერთხელ რუსეთიდან სტუმარი ჩამოვიდა, ენტომოლოგი, პროფესორი. კი დასცინოდნენ, ამხელა კაცი მინდორში პეპლებს დასდევსო, მაგრამ თან გადაჰყვინენ, მანქანით ხან იქით მიაგრილებდნენ და ხან აქეთ, თავი არ მოგვეჭრას, გაურულეზე რამე ცუდი არა მოქვასო. უპ, უპ, რას ჭყეპავს, სულ ასე აქ. გეგონება, ომი დაინყო... — მოგეცადათ ერთი-ორი დღე კიდევ, მინა გამოება, ადვილად იმგზავრებთ! — გაუჩერებელი ლაპარაკობდა მეორე სტუმარი, ხანშიშესული ქალბატონი. — მე რომ ვერ მოვდივარ, ეს მადარდებს. აქ საქმეები მაქვს მოსავარებელი. მეშინია თქვენი მარტო გამოება, ბოლოს და ბოლოს პატარა ბავშვებით მიდისარ... — ნერვიული შემართებით აგრძობდა საუბარს. — კარგი, კარგი, იქნება გადაიღოს კიდევაც დილაზე. ავტობუსი კირველი საათისთვის გადის, მანამდე როგორმე მიალწვევინ სადგურამდე. — საუბარში ჩაერია ოჯახის დიასახლისი, რომელიც დადარდანიებული დარბოდა და ჭურჭელს უდგამდა სახურავიდან ოთახში ჩამომაველ წყალს, — ვო-

წვიმა (ჩანახატი)

ბია მომეხმარო, ვეღარ აფუღივარ საქმეს, იატაკია მოსანწმენდი. — შენ რა, არ გინდა რომ დარჩენი?! — გაპილილიდა მეორე სტუმარი, — ქვეყანა იქცევა და გარეთ ყრი ამ უბედურებში? — აგრძობდა ლაპარაკს და ამ დროს ბავშვების ყვირილი მოისმა, — დედა, აქაც წვეთავს, სახეზე მეცემა, ნიკოსაც დაეცა წვეთი, ახლა ატირდება. პირველი სტუმარი ბავშვებისკენ გაექანა, მას მიჰყვა მეორე სტუმარიც და ოჯახის დიასახლისიც. საწოლი, რომელზეც ბავშვები იწვნენ, გადააოჩნეს. — საცაა გათუნდება და ჩვენ თვალს ვერ მოვხუჭეთ, — დარდით წარმოთქვა მეორე სტუმარმა.



ერთ ქალაქში ბიჭი ცხოვრობდა, სახელად რუდოლფი. მას ძალიან, ძალიან უყვარდა მუსიკა, ფორტეპიანოზე დაკვრას იმ ქალაქში ცნობილ მუსიკოსებთან სწავლობდა. მისი მამა-პაპანიც მუსიკაში დახელოვნებული ადამიანები გახლდნენ, პიანინოების ამწყობები. მისმა პაპამ - პიანინოების სანარმოც კი გახსნა ამ ქალაქში. ეროვნებით გერმანელები იყვნენ, გერმანელები კი, მოგვსენებათ, პედან-

პიანისტი ეძღვნება ცნობილი პიანისტის რუდოლფ კერერის ხსოვნას (ნახევრადზღაპარი)



ტობით და წესრიგის სიყვარულით გამოირჩევიან. ჩვენი ბიჭუნაც დიდი მეცადინე ვინმე იყო, სკოლაშიც კარგად სწავლობდა, განსაკუთრებით ფიზიკა-მათემატიკას, მუსიკაშიც წარმატებებს აღწევდა. თქვენ წარმოიდგინეთ, თამაშსაც ასწრებდა და სხვა-ლასაც, მეგობრებიც ბევრი ჰყავდა. ქალაქი, რომელიც ის დაიბადა და იზრდებოდა, თბილისი იყო. მაშინ თბილისურ სახლებში მრავალი ბავშვი ცხოვრობდა, ეზოშიც ბევრი ბავშვი თუ დიდი გამოეფინებოდა სათამაშოდ თუ სასაუბროდ, მეზობლებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. რუდოლფის საუკეთესო მეგობარი იყო ქართველი გოგონა, იდა, რატომღაც სახელი უცხოური ჰქონდა. გერმანელებს იმ ეზოში პატარა ბალი ჰქონდათ გაშენებული, დასხდებოდნენ იდა და რუდოლფი ერთი დიდი ალუბლის ხის ძირას და ოცნებობდნენ. ოცნება კი ძალიან უყვარდათ ორივეს. ბიჭუნა ოცნებობდა კონცერტებით გამოსულიყო

მსოფლიოს სხვადასხვა სცენაზე, გოგონას კი დიდი სურვილი ჰქონდა ბიოლოგი გამხდარიყო, თქვენ წარმოიდგინეთ, ძალიან უყვარდა მწერები, განსაკუთრებით, პეპლები. დედამისს ძალიან უყვარდა კერვა და ისიც პეპელასავით ნაირნაირ ჩასაცემელში გამოწყობილი ყველას ყურადღებას იქცევდა. დრო გადიოდა, ოცნებებში გართობდნენ ერთ დღესაც შავი ფრინველით სამინელმა ამბავმა ჩამოუფრინათ, ომი დაიწყო. შეწუხდნენ, მაგრამ ყველაზე ცუდი ის იყო, რომ, გერმანელების ოჯახი შორს გადასახლეს. იდა და რუდოლფი ერთმანეთს შეჰპირდნენ, ნერილები ხშირად გაეგზავნათ ერთმანეთისთვის, მაგრამ ამის საშუალებაც აღარ მიეცათ. იდამ რუდოლფს ამბავი მხოლოდ მრავალი წლის მერე შეიტყო. გადასახლებაში მყოფ ოჯახს პიანინო არ ჰქონდა, რომ რუდოლფს მეცადინეობა განეგრძო. ის კი არა და, ზოგჯერ პურიც ენატრებოდათ. ბიჭმა პიანინოს კლაკინები მაგიდაზე დასაბა და ასე განაგრძო პიანინოზე დაკვრა, რომელიც ჩუმი და უხმაურო იყო. სკოლა რომ დაამთავრა, იმ სკოლაშივე ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა მუშაობა, იმიტომ რომ ოდესღაც, თბილისში ძალიან კარგად სწავლობდა ამ საგნებს, ცოდნა კი არასოდეს იკარგება. თავის ოცნებაზე უარს მაინც არ ამბობდა და კლავიშებდასატულ მაგიდაზე თითებს ატყეუებდა. ხანდახან მინდორში გასული,

როცა პეპელას დაინახავდა, იდა ახსენებოდა, თავისი ბავშვობის მეგობარი, ნეტავ სად არისო, გაიფიქრებდა და პეპლებს სთხოვდა მისთვის მოკითხვა გადაეცათ, პეპლები ხომ მხოლოდ სამი დღე ცხოვრობენ, ამიტომ ერთი პეპელა მეორეს გადასცემდა მოკითხვას, მეორე - მესამეს და ასე მიდიოდა ეს მოკითხვა ადრესატამდე. იდაც გაიზარდა, ბიოლოგი გახდა, აი, ის, მწერების ცხოვრებას რომ შეისწავლის. მასაც ხშირად ახსენებოდა თავისი ბავშვობის მეგობარი, ნეტავ, სად არისო, გაიფიქრებდა და მინდორში გასული პეპელას სთხოვდა, მოკითხვა მიუტანე ჩემგანო, ის პეპელაც გადასცემდა მოკითხვას მეორე, მეორე - მესამეს, ასე მიდიოდა ეს მოკითხვა ადრესატამდე. ერთ დღეს რუდოლფი სხვა ქალაქში გაემგზავრა სკოლის საქმეებზე, გზად უცნობი სახლიდან პიანინოს ხმა შემოესმა, მონუსხულივით იქით წავიდა, კულტურის სახლი აღმოჩნდა, დაინახა, ვილაც ახალგაზრდა უკრავდა პიანინოზე. შორიასლო მორიდებით დადგა, ცრემლები წამოუვიდა თვალებიდან. როცა პიანისტმა დაკვრა დაამთავრა, სთხოვა, ინსტრუმენტთან დაჯდებოდა, ხელები უკანკალებდა, მაგრამ აი, პირველი აკორდი აიღო, ამას მეორე მოჰყვა, მესამე... გარემომყოფნი გაოცებულნი უყურებდნენ ვირტუოზ შემსრულებელს, ბიჭს, რომელმაც, პიანინოზე დაკვრა რომ არ დავეციებოდა, მაგიდაზე დახატა კლავიშები და ასე უკრავდა. მას მერე რუდოლფი მსოფლიოში ცნობილი პიანისტი გახდა, ერთ დღეს თბილისსაც ეწვია კონცერტით, ამაღლებული იყო იდას და მისი მეხვედრა კონცერტის შემდეგ, მათ ხომ ერთად ნაოცნებარი უსრულდებოდათ, ორივე თავის საყვარელ საქმეს ეწია, მათ ცხოვრების გზას კი ულამაზესი პეპლები და თბილისური ბავშვობა უნათებდათ.

შივლა (ლუკა ბერიძე)

სიმღერა ჩიჭზე

დღეს ვიხილე საოცნებო ფრთოსანი,
გულთმისანი, ო, რა ტკბილად ჰგალობდა,
ყელის ძაფით უცხო ჰანგის მმოსავი –
ღვთისნიერი, ო, რა ტკბილად ჰგალობდა.

მე ამ გულის სუნთქვა წამსვე ვიცანი,
მას განგებამ დაალოცა წყალობა,
რა ნარნარად სტვენდა გასაოცარი –
ღვთისნიერი, ღვთისნიერად ჰგალობდა.

ჰეი, შივლა! ხალხი დაგიკარგია,
ძველ სატრფოსთვის ჯუნუნნი ხარ
და მონა,
შენი გზები მრუდედ დაუქარგიათ,
ვით ეს ჩიტი – შენი გულიც ჰგალობდა.

არა, არა!

არ არსებობს, არა, არა
ჩემი სუნთქვა შენი სუნთქვის გარეთ,
არა!

არ არსებობს, არ არსებობს,
ჩემი გულის სიყვარული
შენი სიყვარულის გარეთ, არა!

ჩემი ჩრდილი არ არსებობს,
შენს ჩრდილს გარეთ, არა, არა!
არ არსებობს, არ არსებობს,
არ არსებობს, არა, არა!

მოდო, ნახე ჩემი გული,
ჩაიხედე, თუ არ გჯერა
მეჯავრება მუხანათი,
არ მიყვარდა, არა, არა!

მეჯავრება გრძელი სიტყვა,
არ მიყვარდა, არა, არა!
ვერ ინახავს თავის ძელებს,
სხვის ბუნვს ეძებს ჩქარა ჩქარა.

ვითომ ხალხისათვის ზრუნავს,
მუხანათობს ისევ ჩქარა.
ხალხის სასჯელს სად წაუვა,
დაემხო ისევ ჩქარა!

– ნაადრევი! – იძახის,
დაუჯერებს ვინმე განა?
მე ასეთი არამზადა
არ მიყვარდა, არა, არა!

ნანყვეტი შივლას ლექსიდან

ბერი კაცი ვარ, ნუ მმუხთლობთ,
ველარ მოგიმკით ყანასა,
თორემ მინაში ჩავწვები,
ველარც გიმღერებთ ნანასა.

თარგმანი თურქულიდან
არჩილ ლომსაძისა და
ზაზა კაციაშვილის მიერ

ერთ ხელმანდილს გამოვატან
შენს ცოლშვილით მოქარგულსა,
შიგ შევახვევ იმათ გულსა,
შენგნით დამწვარ-დადაგულსა!
ფუტკრის ჩარჩოში ჩავაქსოვ
შენს გვარსა და შენს სახელსა,
თან სიმღერით გამოვატან
შენი ხალხის სიყვარულსა,
მარჯვე ხელით ქანდაკებას
ყველას შენგან დანერგულსა!

ღმერთო, გმირი კაცი, ღარიბათ არ
ამყოფო,
იდარდამს, ამქვეყნად მთლად
გახუნდება,

უღირსმა რომ სიტყვა უკადრათ უთხრას,
რკინის წრთობაც ჰქონდეს, ის
დაღონდება.

ენა ტკბილსა მოუბარსა
კლდე ასმევდა თავის წყალსა,
ვინც ხალხისთვის არ ყოფილა,
წაუღია შავს ლიახვსა.

მეთავისე ჰარამ ზადა,
სტოვდა მხოლოდ ჭუჭყის ტბასა;
დღეის დღისთვის ვინც ზრუნავდა
თავყანსა ვცემთ იმათ კვალსა.

ვინც სიცოცხლე გაიმწარა, –
სამშობლო არჩია თავსა,
სამამულო ომის გმირო,
სახელი გაქვს მომავალსა.

ოძელაშვილო არსენა
ხალხმა ტკბილად რომ გახსენა,
კეცხოველი, მღეთის მცველი
ტყვიამაც ვერ დაასვენა.

სულიერი ტრფობა მიყვარს,
ფიზიკურს თეთრს ტანზე დავსვავე,
მე მას ხელში არ ჩავიგდებ,
წინდან რომ ცეცხლში დასწავე.
ქარის ქროლვა ვერ უშველის
მაღალ კლდეს და ძირ მაგარსა,
12 ბალის მიწის ნძრევა
ნეხვში ისვრის ყიამყრალსა.
შენი დარდი ჩვენც რომ გეტანჯავს
რალათ უნდა ნეტავ ფიცი,
არამკითხე სიმღერები
გაგაჯავრამს, ისიც ვიცი!
მაგრამ მაინც ცოტა რამით
მინდა როგორმე გაგართო,
ჩვენი ტფროფა შენც ხომ იცი,
უშენობით ვარ რალათო.

სხვა მრავალი

რუსთაველმა აურაცხელი განძი დაგვი-
ტოვა. მართლაც ენა არ დაშვრების, რომ
ყველა მისი სიტყვა გადასამარცვლი და
გასამარგალიტებელია

ანაკეთი, ფანაკეთი, თათალეთი,
ქარზამეთი,
მიმინეთი, ბარალეთი, აზავრეთი,
ბურნაშეთი,
მურჯახეთი, ხავეთი, ჭობარეთი,
გავეთი,
კულუღეთი, ვარნეთი, ერუშეთი,
შავშეთი,
მაჩვიეთი, დევეთი, ღარეთი და ტბიეთი...

პეტემენი, პატრაშენი, გორგაშენი,
გოგაშენი,
ალასტანი, მარგასტანი, ვარევანი,
დრეკანი,
მურჯიკანი, კარტიკანი,
დილისკარნი, გულისკარნი...

სულდა, ჯოლდა, გელსუნდა,
წუნდა, კუმურდო და დახუნდა.

მთქმელი არჩილ ლომსაძე

მყენარისთვის

გაზაფხულის თვალი ხარ,
ნეტავ ვის დარგული ხარ,
ბუნებისა მშვენიერავე,
ყველას რომ წამალი ხარ.

სიცხეში ჩეროს გვაძლევ,
შეგვცევა და შენ გვათბობ,
ჩვენ კი შენ განადგურებთ,
ყური მიგდე, რას ვამბობ.

ფუტკრის ნაყოფს იძლევი,
ფოთოლი გაქვს წამლათა,
ბრაკონიერიცა გმტრობს,
დაგდგომია ტამლათა.

თქვენი თეთრი ფანტელი
ბუნებას მოსდებია,
ამოსულხარ იქ, სადაც
თქვენვე მოგწონებია.

მთქმელი ლამარა მარქარის
ასული ხეჩოიანი,
ახალქალაქი

შივლას

მთელ ჯავახეთის ტკბილო მგოსანო
შენ ყურამდისინ მსურს მოვიყვანო,
ის შენი ტანჯვა, მწარე სიმღერა
დღეს სულ სხვა ჰანგზედ ალაგებულა.
როცა ხარით და ცხენით წვალობდი
ახლა ტრაქტორი მიშველებულა,
მოჩუტულ ბანით ძველი სახლები
სახურავ-ფანჯრით გაკეთებულა.
ზედ სხვა სართულიც გადაუდგიათ,
კაშკაშა სხივით გაშუქებულა,
შენი ნატვრა და შენი ოცნება
სულ თითო თითოდ გაცოცხლებულა.

მთქმელი მარშა პაპანიანი,
ახალქალაქი

მკურნალი ვარ გულისა,
ნამეტნავად ფულისა.

შარიანთან ნაძლევიო,
შარში რაღას იძლევიო.

ხატებთანა მლოცავი,
კატისავით მცოცავი.

რჩევა მიილე კარგისგან,
ის გადაგარჩენს დარდისგან.

გველის კვალი ადვილია,
მოლაღატისა ძნელია.

დათვი კაცს ჩირგვებში ჩაჰხერგავს,
ცუდი ენა კი გაჰხერხავს.

მაჰმადიანი მისხეპის გამონათქვამები

თხა რომ მგელს დაუძვრება,
თავი ვეფხვი ჰგონიაო.

ჰოყა ბაზის არვინ იცის,
როგორი აქვს ფანდები,
ასეთს სიკეთე რომ უყო,
თვალში გაებლანდები.

ნურც გამახსნევიანებ ყუთსაო,
ნურც მათქმევიანებ ცუდსაო.

მელიის მფარველობა არ გინდა,
გერჩივნოს ლომთან შებმაო.

მუხანათის ხიდს ერიდე,
თუნდაც ნაგილოს წყალმაო.

იცანი და იცანი შენი თავი,
დაზუსტებით იცანი,
ხალხი არსად წაგივა,
მემრე მათ გაეცანი.

ცხენი კვდება, მოედანი რჩება,
გმირი კვდება – სახელიო.

ხმალი გასჭრის – მაჯა სჭრისო,
ცხენი გასწევს – მხედარიო.

ღირღიტას ღვედი დაუბი,
რვალი არ გაფუჭდებაო,
ავდარში მას არ დავალბობ,
ღვედს ნალი ეჯავრებაო.
დღეს პურმა დაიგვიანა,
მეხრენი გამიწყრებაო,
თუ მეხრეს პური მოშვიდა,
სიმღერა ავიწყდებაო.

ხალხური

დაცხა და დადგა ლაშქარი,
აგრილდა, გადიყრებაო,
გაუმაძღარი აფთარი
გაძლება გაგვეყრებაო.
ნეტაი, ბიჭო, მაგ ხარსა, –
ლამაზად იცოხნებაო,
ავდარი მოდის, უყურე,
მაგას რა ენაღვლებაო.
გოხებს ერიდე, გუთანო,
სახნისი მოგვეხრებაო,
შენს შეკეთებას დრო უნდა,
სამჭედლო გვენატრებაო.
გადმოუჯექი მაგ ხარსა,
ცოდოა, დაგვეღვლებაო,
აგერ, სადილიც მოგვივა,
მუცლები გაგვიძლებაო.

ხალხური

სახლო, სახლინოდ ნაშენო
ფუძე გძევს დიდ თამარისა,
წყვილად დარგულნო ყვავილნო
ლხენა ხართ მოშობელ მხარისა.
ხაროდენ თქვენი გულები,
ძერა იყოს გაზაფხულისა.
ვარძიის კალთა გფარავდეს
და მხარე რუსთაველისა.

ხალხური

მე სიცოცხლეს მომბუგავდა
ლუკა ბერიძის გახსენება,
საკუთრებათა გაჟღენთილნი
დარდზე დარდებს გვახსენებდა.
ახლა, როცა მე დაგებრდი,
სიმღერებიც გამიმძვირდა,
შივლას ნიჭი და გონება
გულზე ცეცხლად გამიღვივდა.
მოხუცობას ყელში არ წავეჭირე,
20 წლის ზარბაზი ნეტავ ისევე მქონოდა,
მომსვლელ და წამსვლელისათვის
გული მათთვის მქონოდა,
სადგომი და მათ საწოლი
ასზე მეტი მქონოდა.

ანონიმის ხელოვანი
ახლა სხვის გვარებით ძვრება,
ხის ჩეროები მოსწყინდა,
ახლა მგლის ბუნაგში ძვრება.
ხალხს ერთმანეთში ამტერებს,
გინდაც მოკვდეს, ნაშთი რჩება,
წამოწყება აგეთი აქვს,
კუდი ბრუდე არ სწორდება.
თვალწინ ძელებს ვერა ხედავს,
სხვის ბუნებზე ეხეტება,
მოხერხებული ქურდია,
აბა, ვინღა ენაღვლება.

ჩანერილია არჩილ ლომსაძის მიერ
1971-1973 წლებში
მოგვანოდა მისმა შეილმა
ცარო ლომსაძემ 2018 წელს

„არავის“ წარდგენა



ამავე უნივერსიტეტის წარმომადგენლები. შესავალი სიტყვით გამოვიდა მთავარი სპეციალისტი საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში ზაირა კელაბტიშვილი, ხოლო „არავის“, როგორც ლიტერატურულ-სამეცნიერო ჟურნალის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა მერაბ ბერიძემ.

სიტყვაში გამოვიდნენ ამავე უნივერსიტეტის რექტორი მაკა ბერიძე, პროფესორი ნათელა ბერიძე, სარედაქციო საბჭოს წევრი ლალი ბერიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გურამ მელიქიძე, მერიის კულტურის სამსახურის უფროსი ზაზა თამარაშვილი, მერიის პასუხისმგებელი მუშაკი რეზო ანდლუაძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის მენეჯერი ციური ლაფაჩი, ამავე მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი ნატო ყრუაშვილი, აქაიბ ახალციხის ციხის დირექტორი დავით ტაბატაძე, სახალხო მითქმელი ვასილ კვინცხაძე, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორი ავთანდილ ბერიძე.

ჟურნალის წარდგენისას საზვასმით აღინიშნა, რომ მისი შემდგომი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესმენტა და საზოგადოების მხრიდან აქტიური ფინანსური მხარდაჭერა, ამ მიზნით შპს „ნათია 777“-მა (დირექტორი ვლადიმერ ზედგინიძე) მხარდაჭერა აღუთქვა ფინანსური დახმარებისათვის, რისთვისაც აღნიშნულ შპს-ს გადაეცა მადლობის სიგელი. „არავის“ ფინანსური დახმარების სურვილი გამოთქვა მუნიციპალიტეტის მერიამაც.

ავთანდილ მესხი

მადლობა

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს „ავერსი ფარმას“ გენერალურ დირექტორს ნიკოლოზ კურტანიძეს, შპს „არალის“ დირექტორს ოთარ თათეშვილს ფინანსური დახმარებისათვის და სარგებლობს რა შემთხვევით, სულითა და გულით ულოცავს მათ ახალი წლის დადგომას, უსურვებს ახალწალ წარმატებებს სამსახურეობრივ და პირად საქმიანობაში.

თქველაბაბი

ფინ იყვ ეჭყყდე მეფემე დიდი



მეფე ერეკლეს ყველაზე გამორჩეული ოჯახი შეურჩიეს, რომ მშვიდად მოესვენებინათ, მაგრამ მან კატეგორიული უარი განაცხადა და მოითხოვა – სოფლის ყველაზე ღარიბ ოჯახში გამიშალეთ ლოგინი, თანაც – იმ ოჯახში ჩემზე დიდი არავინ არ უნდა იყოსო.

– რას ბრძანებთ, დიდი მეფეო, თქვენზე დიდი ქვეყნიერებაზე ვინ უნდა იყოსო და ერთი ქვრივი ოჯახი შეურჩიეს, სადაც მეფესთან ერთად რამდენიმე თავისი მხლებელიც მოათავსეს.

შუა ღამე გადასული იყო, რომ ერეკლეს გვერდითა ოდიდან ტირილის ხმა შემოესმა. იგი სწრაფად წამოხტა ლოგინიდან და გაბრაზებულმა თავისთან იხმო ოჯახის უფროსი. მეფეს ქვრივი მელანო მონინებით ეახლა და განრისხების მიზეზი ჰკითხა:

მეფემაც იგივე გაუთქვა მელანოს, რაც სოფლის თავკაცს უთხრა, რომ მასზე დიდი ოჯახში არავინ არ უნდა ყოფილიყო, სადაც იგი ღამეს გაათევდა.

– რას ამბობ, დიდი მეფეო, თქვენზე დიდი აქ არავინ არ არის და არც შეიძლება იყოს, ოჯახში აკვანში მწოლიარე ხოჭიტი ბავშვის მეტი არავინ მყავსო.

– აი, სწორედ ეგაა ჩემზე დიდი! – მიუგო მეფემ, რომელიც რის ვაი-ვაგლახით ძლივს დაამშვიდეს და დაანყარეს.

ჯაბდა ენთი მუტადა და იხიხ შენნაირი!

ასპინძის ომის შემდეგ სოფელ ხიზა-ბაგრაში ერეკლე მეფემ ღამე რომ გაათია, დილაადრიან ადგა და სოფლის დათვალაღიერება დაიწყო. მისი ყურადღება ერთმა სახლმა მიიქცია, რომლის ერდოზე შეიდიოდე ახალგაზრდა ბიჭი ასულიყო და დიდის ამბით ერდოს ტყეპნიდნენ. – ვინ არიან ეს ახალგაზრდები? – დაინტერესდა მეფე ერეკლე, ასე ღამეზად რომ ტყეპნიან ერდოსო? ოჯახის დიასახლისი მიჰგვარეს მეფეს და აუხსნეს, რომ შვიდივე ამ ქალის – კეკეს შვილები იყვნენ. – აფერუმ შენს ქალობას, ასეთი კარგი და მშრომელი ბიჭები რომ გყავს, – უთხრა ერეკლემ და შეაქო კეკე. – რას ამბობ, მეფეო, ჩემი შვილები იმ ბიჭებთან რა მოსატანია, შენს გვერდით

რომ დგანან და იბრძვიანო, – პასუხი არ დააყოვნა კეკემ.

მეფე ერეკლე თავისას მაინც არ იშლიდა, – შეიდი ვაჟკაცი შვილის ყოლა მართლაც დიდი საქმეა და საამაყოცო.

– არა, მეფეო! – ისევ არ გაჩერდა კეკე, – ამ ბიჭების ყოლას ჯობდა ერთი მყოლოდა და ისიც შენნაირი!

ერეკლემ სიცილი ველარ შეიკავა და ბოლოს ბრძანება გასცა, კეკე გვარიანად დაესაჩუქრებინათ.

მთქმელი

ვახტანგ ბურჯანიძე, 62 წლის, მოსმენილი ჰქონდა სოფელ საროში, მამის – **მოსე ბურჯანიძის**აბან. ჩაინერა **ავთანდილ ბერიძემ** 1987 წელს დაბა ასპინძაში

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, ჩვენი გაზეთის დიდ მეგობარსა და აქტიურ რესპოდენტს, არაერთი საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო ნიგნის ავტორს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ბონდო არველაძეს მეუღლის – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიისა და ნიგნის ავტორის **რუსუდან კუსრაშვილის** გარდაცვალების გამო.

ფულკორი

სუთი მუნება

- 1.უმეცარ კაცს გულით ნუ მიენდობი;
- 2.შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეწვენი;
- 3.ყოველს ჟამს ფრთხილად იყავ, შენ სახლშიც კი;
- 4.მძიერს სტუმრად ნუ ეწვევი;
- 5.გლახა კაცისგან ჩუქება ნუ გინდა.

დილით ამდგომ უხაროდეს, გვიან მოსადილესაო.

მექას წასულ ვირს არ ეტყვიან ჰავს, არ დაადგენ თავზე ჯილას ოქროსას. ბრუდედ ნაზარდ ხეს ვერ გაასწორებ ჭობოშნის წასმით,

შაბს დუღილით ვერ აქცევ შაქრად, ჯიშით გათხვრილი ჯიშსვე მიჰბაძავს.

ფაფით შეშინებული დოს უბერავდა.

თუ ცა მწყალობს, დედამინა ვერრას დამაკლებს.

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების.

უნამუსოს პირში შეაფურთხეს, მან სახეზე ხელი ჩამოისვა და თქვა: იიფ, რა მიამა სამი დღეა პირი არ დამიბანია.

რა მღვდლის ჯვორივით გაჰქრიდი?

ღმერთო, ბუნებით მდიდარო დიდი, ჩემებრ იმედი, გთხოვ ყური მიგდო: ძლეულს უდროვით სიკვდილისაგან ამ წუთ სოფელში წილი დამიღო.

წვეთი წმინდა მადლისა, ყველას მოგვმადლებია.

ზოგთა გულში ღვივის ის, ზოგში ამომმრალია.

ვისაც სურს, რომ ფხიზელი თვალით ცხოვრების სვლას ჩაუკვირდეს – შეისწავლოს, ან არ უნდა გაჩნდეს ქვეყნად, ან უმაღლე დამიარხოს.

დავაყარე წისქვილსა, გამოველი სირცხვილსა.

წისქვილი დაგვიკარგავს, ჩახრახს დაეძებო.

წყალის პირს ბალს ნუ გააშენებ, ის წყლისაა, სიბერისას ცოლს თუ შეირთავ, ის სხვისაა.

ჯავახია და ბრიყობს, დაე, თავისთვის იყოს.

ჯავახმა კაცმა რა იცის? სადილს სჭამს, გაგორდებო, წინ რო დოქით ღვინო ედგას, მაინც ცო აგონდებო.

აქეთ მოვცდი მცნებასა, იქით ქორწინებასა.

ვთქვა? – ხანი მოკლავს, არა ვთქვა – სისხლი მახრჩობს.

ავაფურთხე – უღვაშს მოხვდა, დავაფურთხე – წვერსაო.

ნაბიჭვარსაც აღზრდა უნდა.

დედის ხელი ხელანი, სხვათა ხელი – ხმელანი.

ჩაინერა **ნიკო ასათიანმა** 1930 წ. ახალციხის სახელმწიფო მუზეუმის ფ. N3102. მოგვანოდა **ბრიგოლ ჯვარიძემ** და **ლევან ლაფაჩამ** (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: **WWW.SCFI.CO**; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

ლაგვუქანებალი: ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასაგარტოლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქტორი ავთანდილ ბერიძე
სარედაქციო საბჭო: დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში.
მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.
ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.shti@il.co lit_meskheti@yahoo.com